



## მსოფლიო ბანკის ვებინარების სერია მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმებისთვის

მსოფლიო ბანკმა მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების (SMP) მხარდასაჭერად ვებინარების სერია შეიმუშავა.

პანდემიის შედეგად შექმნილი რთული გარემოებები და ახალი გამოწვევები, რომლებიც SMP-ებზეც აისახება, სწრაფ რეაგირებას და გადაჭრას საჭიროებს. ამიტომ, პირველ ეტაპზე, მსოფლიო ბანკმა, საქართველოს აუდიტორული მომსახურების ბაზარზე პანდემიის გავლენის შესაფასებლად და მთავარი გამოწვევების ინდენტიფიცირებისთვის, აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების გამოკითხვა ჩაატარა.

გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით კი ვებინარების სპეციალური სერია შეიმუშავდა, რომელიც SMP-ებს არსებულ გარემოსთან ადაპტირებაში უნდა დაეხმაროს - ვებინარებზე მსმენელები სფეროს წამყვან სპეციალისტთა ცოდნას იზიარებენ და პანდემიის შედეგად შექმნილი კრიზისის დაძლევის საშუალებებს ეცნობიან.

ვებინარები ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში იმართება.

ვინაიდან აღნიშნული საკითხი არა მხოლოდ საქართველოში არსებული მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმებისთვისაა აქტუალური, მსოფლიო ბანკის მონვევით, ღონისძიებას STAREP-ის პროექტის ქვეყნების - სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, ბელარუსის რესპუბლიკის და უკრაინის წარმომადგენლებიც ესწრებიან.

## ვებინარზე დასწრება შეიძლება ჩაითვალოს არაუმთავრებლად განხორციელებულ ბანათლებად

### ვებინარების ვიდეორეგისტრაციები

- I მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების რეაგირება კორონავირუსის გამომწვევაზე – რეკომენდაციები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ბიზნესის უწყვეტობის შესახებ
- II მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: კრიზისიდან მიღებული გაკვეთილები და პრაქტიკის ტრანსფორმაცია
- III მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: ციფრული ტრანსფორმაცია
- IV მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: ბიზნესის დივერსიფიკაცია ახალი სერვისების შეთავაზების საშუალებით
- V მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: ქსელები, შერწყმა და შთანთქმა
- VI „მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: მარკეტინგი და კომუნიკაცია